ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის

გარემოს დაცვის სამსახურის უფროსს

დამოუკიდებელი ექსპერტის, **ანა გოგოლაძის**

(პ/ნ 54001000468)

მწვანე ნარგაობის ხარისხობრივი შეფასების

ა ნ გ ა რ ი შ ი



2025 წელი

შესავალი

დამკვეთი: შპს საქცივპროდუქტი, ID ნომერი:402034008

მესაკუთრე: შპს საქცივპროდუქტი, ID ნომერი:402034008

საკადასტრო კოდი: 01.13.07.006.026

მისამართი: ქალაქი თბილისი, თევდორე მღვდლის ქუჩა, N 27

დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო

შპს „გრინტექნოს“ (ს/კ 405412432) და ჩემს, ფ/პ ანა გოგოლაძე (პ/ნ 54001000468), შორის 2021 წლის 1 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულების და შპს „გრინტექნოს“ და შპს საქცივპროდუქტი, (ს/კ402034008) შორის, 2025 წლის 3 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ჩემს მიერ შესწავლილი იქნა მიწის ნაკვეთი, მდებარე ქალაქი თბილისი თევდორე მღვდლის ქუჩა, N 27 და მომზადებული იქნა მწვანე ნარგავების ხარისხობრივი მდგომარეობის შეფასების საექსპერტო დასკვნა.

დამკვეთის მოთხოვნით, მცენარეების ხარისხობრივი შეფასება მოხდა ტერიტორიის მხოლოდ მცირე ნაწილზე და ასევე ამ ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ მონაკვეთზე. კონკრეტული საკვლევი ტერიტორიის საზღვრები მითითებული იქნა დამკვეთის მიერ. კვლევა ჩავატარეთ მიმდინარე წლის 3-4 აპრილს.

არსებული მერქნიანი მცენარეები შევაფასეთ ვიზუალურად, განვსაზღვრეთ მათი მდგომარეობა (სიჯანსაღე), სიმაღლე, გავზომეთ დიამეტრი ნიადაგის ზედაპირიდან 10 სმ. სიმაღლეზე, მივანიჭეთ ნომრები, რომელთა მიხედვით უნდა მოხდეს თითოეული მათგანის დაფიქსირება ტოპოლოგიურ გეგმაზე, გადავიღეთ ფოტომასალა.



მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეტანილია საკვლევ ნაკვეთზე არსებული მცენარეები და მათი მახასიათებლები.

№	მცენარის ქართული სახელწოდება	მცენარის ლათინური სახელწოდება	სასიცოცხლო ფორმა	სიმაღლე მ.-ში	დიამეტრი ნაად.ზედაპ.10 სმ.-ზე	პროექციული დაფარულობა მ²	სიჯანსაღე	შენიშვნა	გადარგვის შესაძლებლობა გახარების პერსპექტივით
1	ჭერამი	Prunus armeniaca	ხე	8	56	_	საღი	_	_
2	კვიპაროსი	Hesperocyparis lusitanica	ხე	10	45	_	ხმობადი	30% ხმელი	_
3	ჭერამი	Prunus armeniaca	ხე	6	42	_	საღი	გადახრილი	_
4	პალმა	Trachycarpus fortunei	ხე	3.5	18	_	საღი	_	+
5	პალმა	Crataegus sp.	ხე	3.5	24	_	საღი	_	+
6	ლეღვი	Ficus carica	ხე	7	65	_	საღი	ორკაპა	+
7	პალმა	Trachycarpus fortunei	ხე	4	30	_	საღი	_	+
8	ქლიავი	Prunus domestica	ხე	4	18	_	საღი	_	+

9	ჰიბისკუსი	Hibiscus syriacus	ხე	2	8	_	საღი	_	+
10	პალმა	Trachycarpus fortunei	ხე	3.5	19	_	საღი	_	+
11	ცეფალოტაქსუსი	Cephalotaxus fortunei	ხე	2.5	8-15	_	საღი	მრავალ ღეროიანი	+
12	ჭერამი	Prunus armeniaca	ხე	3.5	14	_	საღი	ორკაპა	+

19	ცეფალოტაქსუსი	Cephalotaxus fortunei	ხე	2.5	8-15	_	საღი	მრავალწლოვანი	+
20	ჭერამი	Prunus armeniaca	ხე	3.5	14	_	საღი	ორკაპა	+

დასკვნა

დამკვეთის მიერ მითითებულ საკვლევ ტერიტორიაზე აღვრიცხეთ 26 ძირი მერქნიანი მცენარე, რომელთაგან 24 ძირი ხეა და 2 ძირი - ბუჩქი. მათი უმრავლესობა მაღალდეკორატიული მნიშვნელობისაა. მხოლოდ რამდენიმე ძირი არის ხეხილის წარმომადგენელი, ესენია: ჭერამის, ქლიავისა და ლეღვის ხეები.

განვიხილოთ თანმიმდევრობით ნარგაობის წარმომადგენლები:

##1, 3 და 20 არის ჭერამის ხეები. სამივე მათგანი არის ჯანსაღი, თუმცა, #2 ძლიერ გადახრილია.

#2 კვიპაროსის ხეა, რომლის 30% ხმელია.

ნაკვეთზე დარგულია 6 ძირი პალმის ხე: ##4, 5, 7, 10, 11, 14. ყველა მათგანი ჯანმრთელია.

##6 და 12 ლეღვის ხეებია, ჯანმრთელები და კარგად განვითარებულები.

#8 ქლიავის ხეა.

ტერიტორიაზე 4 ძირი ჰიბისკუსის პატარა ხეები იზრდება: ##9, 16, 17, 18. ყველა მათგანი ჯანსაღია.

##13 და 15 არის ცხრატყავას ბუჩქები.

#19 წარმოადგენს ცეფალოტახუსის ხეს, რომელიც ძლიერ დეკორატიულია, არის ჯანსაღი, მრავალღეროიანი.

##21 – 25 არის ცაცხვის ხეები, საკმაოდ დიდი დიამეტრით, ჯანსაღები.

დაბოლოს, #26 ხემყრალაა.

თითოეული მცენარის შესახებ მონაცემები, მათ შორის, გადარგვის შესაძლებლობა, მოცემულია ცხრილში. მათი გადარგვის შესაძლებლობა დამოკიდებულია მათ მდგომარეობაზე, სიჯანსაღესა და დიამეტრის ზომაზე. 25 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე მცენარეების გადარგვის შესაძლებლობა დადასტურებული უნდა იქნას, მხოლოდ შესაბამისი გადარგვის მეთოდოლოგიით. ასევე სპეციალური მეთოდოლოგიის შემუშავება იქნება საჭირო #19 ცეფალოტახუსის ხის გადასარგავად.

დამოუკიდებელი ექსპერტი ანა გოგოლაძე

(პ/ნ 54001000468)

დანართი - ფოტოები ნომერაციით:




N2
03 აპრილი, 2025


N3
03 აპრილი, 2025


N4
03 აპრილი, 2025


N5
03 აპრილი, 2025


N6
03 აპრილი, 2025


N7
03 აპრილი, 2025


N8
03 აპრილი, 2025


N9
03 აპრილი, 2025


N10
03 აპრილი, 2025


N11
03 აპრილი, 2025


N12
03 აპრილი, 2025



სტრუქტურა ------

პროექტის მისამართი:

ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის ქუჩა

დამკვეთი : შპს "საქციპროდუქტი"

შენიშვნები:
1. ნახაზზე ზომები მოცემულია სანტიმეტრებში;
2. ნახაზზე ყველა ცვლილება მშენებლობისას შეთანხმებული უნდა იყოს პროექტის ავტორთან;
3. ფურცლის კორექტირებით ავტომატურად უქმდება წინა ვარიანტი;

პირობითი ნიშნები:

სიტუაციური სქემა KEY PLAN

1	თარიღი	აღწერა
2	თარიღი 1 DATE 1	
3	თარიღი 2 DATE 2	

გამოცემა: 03.05.2024

CAD DWG FILE: CAD Demontaji Chavchavadze.dwg

შეასრულა: ISSUE: ა.ებანოიძე

შეამოწმა: CHECKED: მ. დევდარიანი

შეამოწმა: CHECKED: დ. აბაკელი

საავტორო უფლებები: COPYRIGHT:

სათაური TITLE

გენგეგმა ხე-მცენარეების ნუმერაციით

ა-102

A3